დეგ სახელმწიფომ დაახლოებით 50 სახლის რეაბილიტაცია დაიწყო.“ ალი კონიალის გამოფენის განხილვის კულტურის, მეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკა ვაჩივილი, თბილისის მერი გივი უგულავა, საქართველოში თურქეთის ელჩი ერთიან თეზგორი და საქართველოს პარლამენტის, თბილისის მერიის, დიპლომატიური კორპუსისა და სხვადასხვა სფეროების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნიკა ვაჩივილი: „არქიტექტურა ტრადიციული ხელოვნებაა და საუკეთესოდ ასახავს ერის ტრადიციებს და ისტორიას. გამოფენა ცხადყოფს, რომ მათთან აჭრასა და იმ ტერიტორიას, რომელიც ფოტოგრაფმა აღწერა, საერთო ისტორია და კულტურა აქვთ. გარდა ამისა, ამ გამოფენით დაგრწმუნდი, რომ არქიტექტურას არ აქვს საზღვარი, რადგან თვითოეული სახლის კადრი ჩემში ძალიან დიდ ემოციას აღძრავს.“

გამოფენა თბილისში 4 ივლისამდე გაგრძელდება, აგვისტოში კი ბათუმში გადინაცვლებს.

ლაზური არქიტექტურის თემა „არსის გალერეაში“ დღესაც გაგრძელდება. წარმოდგენილი იქნება თურქი რეჟისორის სუჰა არინის დოკუმენტური ფილმი „როცა წინააღმდეგობა“ რეჟისორმა ფილმი 1986 წელს გადაიღო. მასში აღწერილია შავი ზღვის ალბოსავლეთი რეგიონის საცხოვრებელი სახლები, ასევე სამშენებლო მასალა და მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკა. ფილმში ამ სახლების მშენებლები თავად საუბრობენ იმ მეთოდის შესახებ, რომლებიც მათ საუკუნოვან მდგრადობას უზრუნველყოფს.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს ოპტიკო-ელექტრონული ანალიზატორისა და შესაბამისი იმუნოქრომატების შესყიდვაზე და ინვესტორს ვეგლა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მისაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსორების ანგარიში N200122900, მოთხოვნი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტენდერო მისაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქეტი, თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგვეცმათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტები:

ლოტი 1 - ოპტიკო-ელექტრონული ანალიზატორი - იმუნი-სენდვიჩ მეთოდით ჩატარებული ანალიზების შედეგების დოკუმენტური უზრუნველყოფისათვის - 18 ცალი.

ლოტი 2 - ბიოლოგიურ მასალაში - (ნერწყვი) ნარკოტიკული ნივთიერებების აღმოჩენის იმუნოქრომატები.

სამ პარამეტრიანი - ოპიუმის ჯგუფის ალკალიოიდების, კანაბინოიდების, ბუპრენორფინის შემცველობის დასადგენად - 2000 ცალი.

ლოტი 3 - იმუნოქრომატები ბიოლოგიურ მასალაში - (შარდში) ნარკოტიკული და სხვა გამაზრებელი საშუალებების შემცველობის დასადგენად.

3.1 ერთ პარამეტრიანი იმუნოქრომატები - ოპიუმის ჯგუფის ალკალიოიდების შემცველობის დასადგენად - 6700 ცალი.

- ბუპრენორფინის შემცველობის დასადგენად - 6700 ცალი.
- კანაბინოიდების შემცველობის დასადგენად - 6700 ცალი.
- მეტადონის შემცველობის დასადგენად - 1000 ცალი.
- კოკაინის შემცველობის დასადგენად - 340 ცალი.
- ამფეტამინების შემცველობის დასადგენად - 200 ცალი.
- ბარბიტურატების შემცველობის დასადგენად - 200 ცალი.
- ბენზოდიამზებინების შემცველობის დასადგენად - 200 ცალი.
- კანაბინოიდების, ბუპრენორფინის, მეტადონის და კოკაინის ალკალიოიდების, კანაბინოიდების, ბუპრენორფინის შემცველობის დასადგენად - 3400 ცალი.
- 3.3 ხუთ პარამეტრიანი იმუნოქრომატები - ოპიუმის ჯგუფის ალკალიოიდების, კანაბინოიდების, ბუპრენორფინის, მეტადონის და კოკაინის შემცველობის დასადგენად - 200 ცალი.
- ლოტი 4 - ბიოლოგიური მასალის (შარდი) დასალუქი ერთჯერადი კონტეინერები - 10000 ცალი.
- 3.3მინოდების ადგილი - ქ. თბილისი, გ.გულუას ქ. N10.
- 4.მინოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 ოქტომბრამდე.
- 5.პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 14 ივლისის 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
- 6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფო-

- რმაცია: ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მისი ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
- ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სასახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
- 7. პრეტენდენტები ვერ გაიკვიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ამ შეესაბამებთან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
- 8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
- 9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია აღმოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
- 10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.



21 ივნისი

თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი პრემიერა „ტრუბადური“ დასაწყისი: 19.00

თავისუფალი თეატრი „ბინა ყიფშიძის ქუჩაზე“ დასაწყისი: 19.00

კინო

„ამირანი“ „ტყის საძმო“ დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 „განქორწინება ამერიკულად“ დასაწყისი: 20:00; 22:00

„რუსთაველი“ „მანქანები“

გალერეა

„კოპალა“ ირინა რაზმაძის ნამუშევრების გამოფენა

„ქარვასლა“ „რომანტიკული ფოტომატინე“ თენგიზ უთმელიძის ფოტონამუშევრები

„ვერნისაჟი“ თანამედროვე ქართულ მხატვართა გამოფენა

მაკარტნის საოცნებო ასაკი

18 ივნისს, სერ პოლ მაკარტნის 64 წელი შეუსრულდა. ასე რომ, მუსიკოსმა რეალურად მი-აღწია ასაკს, რომელსაც უნინ უმ-ღეროდა. When I'm 64 - იმ ლეგენ-დარული ალბომის Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band ერთ-ერთი პიტი იყო, რომელიც „ბითლზ-მა“ 1967 წელს გამოუშვა.



მაკარტნი დამსახურებულად ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მუსიკოსად. მისი სახელი გინესბუკის რეკორდშიც შევიდა, როგორც XX საუკუნის ყველაზე პოპულარული კომპოზიტორი.

ხშირად აღნიშნავენ, რომ მაკარტნი ლივერპული ოთხეულიდან ყველაზე ნაყოფიერი მუსიკოსი გახლდათ. „ბითლზის“ დაშლის შემდგომ (1970) მან ჯგუ-

ფი The Wings ჩამოაყალიბა და მას შემდეგ 30 ალბომის ავტორად მოგვევლინა.

ჭოკონდას ტყუპისცალი

პორტლენდის ხელოვნების მუზეუმმა რამდენიმე დღის წინ XVI საუკუნის მხატვრული ტილო გამოფინა. თუმცა, ეს არ არის მთავარი ამ ამბავში. ამ ნამუშევარს ლეონარდოს ცნობილი ნახატის მსგავსად „ჯოკონდა“ ჰქვია. მხოლოდ სახელში არ არის მსგავსება, უცნობი მხატვრის ნამუშევარი სხვა მრავლი-თაც ჰგავს ალორძინების და და ვინჩის სიამაყეს, რომელიც 1503-1510 წლებში შეიქმნა და ლუვრში ინახება.



ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პორტლენდის „ჯოკონდა“ დახატული არა უგვიანეს 1510 წლისა, ანუ დაახლოებით მაშინ, როცა ლეონარდოს შედევრი, ერთნი ფიქრობენ რომ ალნიშნული ტილო და ვინჩის ესკიზი „მონა ლიზათვის“, მეორენი კი ფიქრობენ, რომ ეს დამანიჭრი-გებელი გარეგნობის სურათი დიდი ლეონარდოს სხვა თანამედროვე მხატვრის ნამუშევარი, რომელმაც მაცეტროს უბრალოდ მიბაძა.

აღსანიშნავია, რომ სპეციალისტებმა საგულდაგულოდ შეისწავლეს შტატების ჯოკონდა და გაფანტეს ეჭვი იმის თაობა-

ზე, რომ ტილო ჩვენი თანამედროვეის ფანდი იყო. ის მართლაც XVI საუკუნისაა და არც ლეონარდოს ქმნილების ზუსტი ასლია. მსგავსების გარდა არის წერტილმანი და მნიშვნელოვანი განსხვავებებიც.

პორტლენდის მუზეუმს სურათი კერძო პირმა 1983 წელს გადასცა. ამ ადამიანმა კი თავის დროზე, გასული საუკუნის 60-იან წლებში „მონა ლიზას“ ტყუპისცალი ევროპაში შეიძინა.

ნიუმანის ზოლო ფილმი

ცნობილი ამერიკელი მსახიობმა პოლ ნიუმანმა გადაწყვიტა, რომ საბოლოოდ დასრულოს მოღვაწეობა ჰოლივუდში.

„შესაძლოა, ვიმუშავო კიდევ ერთ ფილმზე, როგორც ბოლო პაემანზე“ - განაცხადა მსახიობმა ახალი ფილმის „მანქანების“ პრემიერაზე, რომლის ერთ-ერთი ანიმაციური პერსონაჟი ნიუმანის ხმით მეტყველებს. „როცა დგება დრო ნახვისა, უნდა ნახვიდე“, - დაუმატა მან და ისიც გვამცნო, რომ მას უკვე აქვს სამომავლო გეგმები, კონკრეტულად უკანასკნელი კინონამუშევართან დაკავშირებით, თუმცა კონკრეტის-გან ამ შემთხვევაში თავი შეიკავა.

ნიუმანმა, რომელმაც კინოკარიერა 1950 წელს დაიწყო, არაერთი ცნობილი და დასამახსოვრებელი ეკრანული სახე შექმნა. 1986 წელს, მარტინ სკორსეზეს ფილმში „ფულის ფერი“ მთავარი როლის შესრულების შემდეგ, როგორც საუკეთესო მსახიობმა მა-მაკაცმა „ოსკარი“ დაიმსახურა.



Advertisement for Vienna Boys' Choir performance on June 22 at 18:30. Includes logos for Wiener Sängerknaben and various sponsors like Austrian Airlines and Georgian Media.

„დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი“-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამა-ჯანსაღებელ ცენტრ „ნაუტილუსი“-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფ-ლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშა ვეინბერგერი ჩა-ტარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ლაბების კორე-ქციით
(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუ-თუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუ-თუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწვევა
- სარძევე ჯირკვლის დაჭიმვა
- სარძევე ჯირკვლის აწვევა
- ლიმფოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიმფოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06 893 65 38 39


გამაჯანსაღებელი ცენტრი



- გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქ-საციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზ-რდობის სამყარო „კედრის სახლი“
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- „STARMASTER“-ის და „NAUTILUS“-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფესულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და პორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge reception@nautilus.ge



2006 წლის 19 ივნისის №134 (1286) გაზეთ "24 საათში" გამოქ-ვეყნებული იყო შპს "ქართული ფილმი-უძრავი ქონებას" ინფორ-მაცია კომერციული კონკურსის შესახებ, სადაც დაშვებულია უზ-უსტობა, კერძოდ, ნაცვლად ა/ა №000446208-ისა, უნდა იყოს ა/ა №004467208.

შენიშვნა

20 ივნისის გაზეთ "24 საათში" (N 1287) გამოქვეყნებულ გა-რემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გან-ცხადებაში სასრგებლო ნიადაგის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ გაიპარა უზუს-ტობა.

II ობიექტი - მდ. არაგვის კალაპოტში ქვიშა-ხრების მოპო-ვება
3756 ლარი
"უ" შეადგენს საწყის ფასის 20 პროცენტს
751 ლარი

დედა ლამარა ქველიძე, ძმა ოთარ ქველიძე, მეუღლე მანანა თევზაძე, შვილები ირაკლი და გაგა ქველიძეები, ძმისშვილები სა-ლომე და ქეთა ქველიძეები, რძლები - თამარიკო ფალიძე, თეა პა-ტარია, ნათია ავსაჯანიშვილი, შვილიშვილები - ირინა, ოთარ, სანდრო, ირაკლი, დეიდა ეთერ სუჯაშვილი, დეიდაშვილი მიმიკო ნიკოლაიშვილი ოჯახით, მამიდაშვილი გიორგი იორდანიშვილი. თამაზ თევზაძე ოჯახით, მძახლები: ნანა ლავილაძე, ზაურ და ნინო ავსაჯანიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი ბაიოზის ქა ქველიძე
პანაშვიდი: 20, 21 ივნისს 17 საათზე
მის: ნუცუბიძის ფერდობი II მკ/რ I კვარტალი
II კორპუსი ბინა 23
გამოსვენება 22 ივნისს 15 საათზე
საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან



ბარლუსკონი Emar-ის ფრანგულ განყოფილებას ყიდულობს

საერთაშორისო მედიაკომპანია Emar PLC თავის ფრანგულ განყოფილებას იტალიურ Arnaldo Mondadori Editori SPA-ს...

Emar-ის ხელმძღვანელობის განცხადებით, ტრანზაქციით მიღებული თანხიდან 524,4 მილიონი დოლარი კომპანიის აქციონერთა შორის განაწილდება.


გარდა ამისა, Eamr ფუნდებს გამოსცემს დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, აშშ-ს და სამხრეთ აფრიკაში.

სუპერჯამბო "ჯარბას A380" იბჰიანებას



უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

Table with 3 columns: Currency, Code, and Rate. Lists various international currencies and their exchange rates against the Georgian Lari.



ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

ბაზოცემის ოფიციალური პარტნიორები:



რამდენივე სანარმო დივიდენდის გადახდაზე უარს აცხადებს

ათარ მაგალაშვილი

მეორე კვარტლის მიწურულს სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების თემა კვლავ აქტუალური ხდება.

უკვე თითქმის სამი წელია, რაც ახალმა ხელისუფლებამ სახელმწიფო ქონება სამართავად გადაიბარა, თუმცა ამ ორი წლის განმავლობაში ახალი ხელისუფლების მიერ მართული ქონება "ჩაბარებულზე" უკეთესად ვერ გამოიყურება - საბოლოო ჯამში, არც დავალიანებები შემცირებულა, არც შემოსავლები გაზრდილა მნიშვნელოვნად.

Table titled 'ბიუჯეტში ჩარიცხული დივიდენდების მოცულობა - ლარებში'. Shows dividend income for 2005, 2006, and 2007 across various categories like 'საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია' and 'საქართველოს რეზერვები'.

B2

Energo pro 312 მილიონ 350 ათას დოლარს გადაიხდის

გასაყიდად გამოტანილი 9 ენერგობიჟექტიდან 8-ის მფლობელი ჩეხური კომპანია Energo pro გახდა.

როგორც ზურაბ ნოღაიძემ განაცხადა, ჩეხური კომპანია Energo pro ესპანეთშია დაარსებული.

გაზრდილია 82 ბაიოდერა

საგენერაციო ობიექტებზე ინტერესი შემდეგმა კომპანიებმა დააფიქსირეს: TBC+Energy "რიონქსში" 20 მილიონ 100 ათას დოლარს გადაიხდის.

B2

რუსეთი და მსოფლიოს ენერგოეკონომიკური პრობლემები

ამხროსი ბრიჯიკაშვილი

აქონობიკარ მსხვილარაბათა კანდიდატი

რუსეთი ენერგომომცველების მიწოდებისა და მათი ფასების საშუალებით მხოლოდ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს არ უქმნის პრობლემებს.

სპეციალისტების შეფასებით, შორეულ პერსპექტივაში ნავთობის ფასი შეიძლება მკვეთრად შემცირდეს.



B4



გოლი-გოლი



C3

ლუის გარსია: ჯერ ყველაფერი წინ არის!



C3

IRB-მ ქართულ რაგბის ხელი ჩამოართვა



C4

ზიდანი: ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული

საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი და ლიდერი ზიდანი დარწმუნებულია, რომ სამფეოროვნებო მსოფლიო ჩემპიონატის მერვედღიანობაში გაველენ.

ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. დავამარცხებთ ტოგოს და ვითამაშებთ მერვედღიანობაში. 1998 წელს მე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ვითამაშე. ახლაც იგივე შეორდება. იმედია, ჩვენი გუნდი მუნდიალს ისევე დაასრულებს, როგორც რვა წლის წინ", - აცხადებს ზიდანი.

კივალა ითამაშებს

ავსტრალიის ნაკრების თავდამსხმელი ჰარი კიუელი ითამაშებს ხორვატიის ნაკრების წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ავსტრალია - ბრაზილიის მატჩში კიუელმა გერმანელ არბიტრს მარკუს მერკის შეურაცხყოფა მიაციენა და იყო იმის შანსი, რომ კიუელისთვის დისკვალიფიკაცია მიეცათ.

რიხარი "მარსელს" დატოვებს

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ფრანკ რიხარი ამბობს, რომ "მარსელში" "ლიონში" გადასვლა სურს. "ლიონში" გადასვლა ჩემი პრიორიტეტია. არ მსურს მარსელში დარჩენა, რადგან მინდა უმაღლეს დონეზე ვითამაშო. მერნმუნეთ, "მარსელის" დატოვებას არც ვფიქრობდი, მაგრამ ახლა კლუბში ვითარება ისე აირია, რომ დარჩენას აზრი აღარ აქვს", - აცხადებს რიხარი.

სკოლარი ლიდერებს დაასვენებს

პორტუგალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ გადაწყვიტა ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში, რომელსაც პორტუგალიის ნაკრები მექსიკის გუნდის წინააღმდეგ გამართავს, დაასვენოს დეკო, კომბინია და პაულეტა. ბრაზილიელ მწვრთნელს არ სურს გარისკოს ფეხბურთელებით - პორტუგალიის ნაკრებს მერვედღიანობის საგზური ხომ უკვე დაბეჭდული აქვს.

შეჯიჯკო:

"იტალია ფავორიტი არ არის"

უკრაინის ნაკრების ფორვარდს ანდრეი შევჩენკოს იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად არ მიაჩნია. შეტყი: შევას აზრით, იტალია, შესაძლოა, საერთოდ ვერ გავიდეს ჯგუფიდან.

"მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე ძლიერი გუნდები არგენტინას, ესპანეთს და პოლანდიას ჰყავთ. რაც შეეხება იტალიას, სკუადრა აძურა ფავორიტად არ მიაჩნია. შესაძლოა, იტალიის ნაკრები საერთოდ ჯგუფშიც კი ჩარჩეს", - აცხადებს უკრაინელთა ლიდერი.

საპროლას მქსიკასთან თამაში უნდა

არგენტინის ნაკრების ფორვარდს ხავიერ სავიოლას სურს, რომ მისი გუნდი მერვედღიანობაში მექსიკის ნაკრებს დაუპირისპირდეს.

"ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ცხადია, პორტუგალიასთან თამაშს მექსიკასთან დაპირისპირებას ვამჯობინებდი. პორტუგალიის ნაკრები ძალიან კარგად თამაშობს. ამ გუნდს ქარიზმატული ლიდერები ჰყავს, რომლებსაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ", - აცხადებს სავიოლა.

ნედვედი სასნაულს ელის

ჩეხეთის ნაკრების ლიდერი პაველ ნედვედი შიშობს, რომ მისი გუნდი ვერ შეძლებს მერვედღიანობაში გასვლას.

"განასთან შეხვედრაში ქულა მაინც უნდა აგველო. ახლა ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდით. გვჭირდება მოგება და ორი ნამყვანი ფეხბურთელიც გვაკლია. მერვედღიანობაში გასვლა ძალიან გაგვიჭირდება. თუ რაიმე სასწაული არ მოხდება, იტალიასთან მატჩი ჩვენთვის ბოლო იქნება ამ ჩემპიონატზე", - ამბობს პაველ ნედვედი.

ბრაზილია ლიდერობს

გერმანიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი 26 პროცენტით მეტ ტელეაუდიტორიას აგროვებს, ვიდრე ოთხი წლის წინანდელი კორეა-იაპონიის მუნდიალი.

სააგენტო ზი ბი სის ცნობით, ჯერჯერობით ყველაზე პოპულარული იყო ბრაზილია-ხორვატიის მატჩი, რომელსაც 61 მილიონმა ადამიანმა ადევნა თელევიზორით. მეორე ადგილზეა იტალია-განას მატჩი, მესამეზე კი - გერმანია-კოსტა რიკის.

დე როსიმ ბოდიშით მოიხადა

იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა დანიელე დე როსიმ ბოდიშით მოუხადა აშშ-ს ნაკრების ფეხბურთელს ბრაიან მაკბრაიდს, რომელსაც იტალია-აშშ-ს მატჩში სახეში იდაყვი ჩაარტყა.

"არ მინდოდა მაკბრაიდისთვის ტრავმა მიმეყენებინა. ამიტომ მატჩის შემდეგ მივედი და ბოდიშით მოუხადე. ამავე დროს მინდა პატივება ვთხოვო თანაგუნდელებს და მწვრთნელს - მე ხომ ისინი დავაღალატე", - აცხადებს დე როსი.

"დე როსიმ მართლა უხეშად ითამაშა, მაგრამ მატჩის შემდეგ პატივება ვთხოვა. ამიტომ მის მიმართ პრეტენზია ვერ შექმნება. თანაც, ტრავმა არ მიმიღია", - თქვა ბრაიან მაკბრაიდმა.

შვედებს სოტა დააკლდათ



შვედური ლარსონმა ბოლო წუთზე გაათანაბრა ანგარიში.

ინგლისისა და შვედეთის გუნდების დაპირისპირება სანახაობრივი თვალსაზრისით, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიო ჩემპიონატზე. გუნდებმა უხვგოლიანი ფრე ითამაშეს, მაგრამ გამოიკვეთა ერთი ტენდენცია, რომელმაც შეიძლება მომავალ თამაშებში ინგლისელებს ცუდი სამსახური გაუწიოს. კერძოდ, სვენ-გორან ერიკსონი ტრადიციულად არ ცვლის სათამაშო სქემას. გუნდში მხოლოდ ერთი გუნდის ცოტა დააკლდათ იმისთვის, რომ გასულ ევროპის ჩემპიონატზე. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ნაკრებს უზარმაზარი შეტევითი პოტენციალი გააჩნია და მას მინდვრის შუაგულშიც და წინა ხაზზეც ბევრი შემოქმედი ფეხბურთელი ჰყავს, ერიკსონი ამ გუნდს დაცვიდან ათამაშებს და ფაქტობრივად ანიავებს ინგლისის ნაკრების მდიდარ შემოქმედებით პოტენ-

ციალს. ასე თამაშობდა ინგლისის ნაკრები 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და დაისჯა. ასე ითამაშა ერიკსონის გუნდმა პორტუგალიაში ევროპის პირველობაზე, როცა პორტუგალიის ნაკრებს დაუთმო ფინალის საგზური. ნათელია, რომ ასეთი თამაშით ბრიტანელებს დიდი პრობლემები ექმნებათ, მაგრამ ერიკსონი ვთუ-ტად არ ცვლის სათამაშო სქემას. გუნდში მხოლოდ ერთი გუნდის ცოტა დააკლდათ იმისთვის, რომ ინგლისის ნაკრები დამარცხებული და ასეთ შემთხვევაში, შვედეთის ნაკრები უზარმაზარი შეტევითი პოტენციალი გააჩნია და მას მინდვრის შუაგულშიც და წინა ხაზზეც ბევრი შემოქმედი ფეხბურთელი ჰყავს, ერიკსონი ამ გუნდს დაცვიდან ათამაშებს და ფაქტობრივად ანიავებს ინგლისის ნაკრების მდიდარ შემოქმედებით პოტენ-

ციალს. ასე თამაშობდა ინგლისის ნაკრები 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და დაისჯა. ასე ითამაშა ერიკსონის გუნდმა პორტუგალიაში ევროპის პირველობაზე, როცა პორტუგალიის ნაკრებს დაუთმო ფინალის საგზური. ნათელია, რომ ასეთი თამაშით ბრიტანელებს დიდი პრობლემები ექმნებათ, მაგრამ ერიკსონი ვთუ-ტად არ ცვლის სათამაშო სქემას. გუნდში მხოლოდ ერთი გუნდის ცოტა დააკლდათ იმისთვის, რომ ინგლისის ნაკრები დამარცხებული და ასეთ შემთხვევაში, შვედეთის ნაკრები უზარმაზარი შეტევითი პოტენციალი გააჩნია და მას მინდვრის შუაგულშიც და წინა ხაზზეც ბევრი შემოქმედი ფეხბურთელი ჰყავს, ერიკსონი ამ გუნდს დაცვიდან ათამაშებს და ფაქტობრივად ანიავებს ინგლისის ნაკრების მდიდარ შემოქმედებით პოტენ-

შვედეთი - ინგლისი 2:2

შვედეთი: ისაკსონი, მელბერგი, ლუჩინი, ედმანი, ლინდეროტი (ანდერსონი, 91'), ალექსანდერსონი, ლიუნგბერგი, ლარსონი, კალსტრომი, იონსონი (ვილჰელმსონი, 54'), ოლბაკი (ელმანდერი, 75').

მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი

ინგლისი: რობინსონი, ეშლი კოული, ფერდინანდი (კემპბელი, 56'), ტერი, ბექჰემი, ლამპარდი, რუნი (ჯერარდი, 69'), ოუენი (კრაუჩი, 4'), ჯო კოული, კარაგერი, ჰარვეი.

მწვრთნელი: ლარს ლაგერბაკი.

გოლები: 0:1 - ჯო კოული (34'), 1:1 - ოლბაკი (51'), 1:2 - ჯერარდი (85'), 2:2 - ლარსონი (90').

გაფრთხილება: ჰარვეი, ალექსანდერსონი, ლიუნგბერგი.

მსაჯი: მასიმო ბუაკა (შვეიცარია)

9 კარში დარტყმა 14

6 კარისკენ დარტყმა 8

18 ჯარიმა 13

12 კუთხური 6

0 თამაშგარე 1

45 ბურთის ფლობა 55

მატჩის საუკეთესო მოთამაშე: ჯო კოული

“მილანი” ძლიარდება

იტალიური “მილანი” მომავალი სეზონისთვის სერიოზულად აპირებს გაძლიერებას და ამას თავისი მთავარი კონკურენტის “იუვენტუსის” ხარჯზე აპირებს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, “მილანს” ჯიჯი ბუფონისა და ლილიან ტურამის შეძენა სურს. ბერლუსკონის გუნდი ბუფონს 15 მილიონ ევროს იხდის და ამასთან ერთად მზადაა “იუვენტუსში” კრისტიან აბიატიც გაუშვას. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ნაკრების მეკარე ნელსონ დიდა მილანური კლუბის დატოვებას აპირებს. რაც შეეხება ტურამს, ჯერჯერობით თავად ფეხბურთელმა უნდა გაარკვიოს, სურს თუ არა “იუვენტუსში” დარჩენა. ამავე დროს “მილანის” ხელმძღვანელობამ უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, თითქოს გუნდი ფერნანდო ტორესში 20 მილიონ ევროს გადახდას აპირებს. იტალიური გრანდის მესვეურების თქმით, ფერნანდო ტორესს შეეძენა “მილანის” გეგმებში არ შედის.

15 მილიონი მასკარანობი

“მანჩესტერ ოუნაიტედი” მზადაა 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს არგენტინის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ ხავიერ მასკერანოში. აღსანიშნავია, რომ 22 წლის არგენტინელის შეძენა მადრიდის “რეალსაც” სურს. მანჩესტერელები მასკერანოს როი კინის მეშვეობედ მიიჩნევენ.

რუნი ჰპარს აცვას

ძალზე ორიგინალური სარეკლამო პლაკატი გამოჩნდა ამ დღეებში ლონდონში. ინგლისის ნაკრების ფორვარდს უიგნ რუნის ხელები ისე აქვს გაშლილი, თითქოს ვეარზეა გაკრული. ნელს ზემოთ მიშველ ფეხბურთელს ტანზე გიორგის ჯვარი აქვს გამოხასული. ეს პლაკატი კომპანია “ნაიკმა” დაამზადა. შეგახსენებთ, რომ რუნის “ნაითან” ხუნთლიანი სარეკლამო კონტრაქტი აქვს გაფორმებული, რომელიც 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი აიღო. “ნაიკმა” ამ პლაკატი ინგლისის ნაკრებისადმი კეთილგანწყობა გამოიხატა. საინტერესოა, რომ პლაკატისთვის რუნის ფოტოც კი არ გადაუღია. უბრალოდ, აიღეს ჩვეულებრივი ფოტო, რომელზეც გახარებული რუნია აღბეჭდილი, შემდეგ კი ეს ფოტო კომპიუტერულად დაამუშავეს. საერთოდ, მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატმა ინგლისში დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგალითად, ვახუთ “სანის” უფრნალისტებმა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა გენეალოგიაც კი გამოიკვლიეს. თურმე რუნის დიდი ბაბუა კრივში მსოფლიო ჩემპიონი ბობ ფიტსიმონსი ყოფილა.

შვედარი უპირატესობა

ინგლისისა და შვედეთის ნაკრები გუნდების მატჩის წინ ინგლისურმა მედიამ საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა. საყოველთაოდ მიღებულია, რომ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა მეგობარი გოგონები და ცოლები ყველაზე სიმპათიურები არიან ფეხბურთელების მეორე ნახევრებს შორის, თუმცა, ინგლისელი უფრნალისტების აზრით, ამ მხრივ არც შვედები ჩამოუვარდებიან ბრიტანელებს.

ბრიტანელმა უფრნალისტებმა გარკვეული შედარებებიც კი გააკეთეს. მაგალითად, პიტერ კრაუჩის გელფრენდ ებიგალ კლენსის არაფრით ჩამოუვარდება ანდრეს სვენსონის მეგობარი გოგონა ემა იუჰანსონი, რუნის შეყვარებულ კოლინ მაკლაფინის კი კრისტიან ვილჰელმსონის გელფრენდი კაროლინ პოკანსონი საერთოდ ჯობს კიდევ. თუმცა, შვედების მთავარი უპირატესობა სხვა რამეშია. ინგლისის ნაკრებში არ მოიძებნება ფრედერიკ ლიუნგბერგის მეორე ნახევრის ანალოგი. მართალია, ლიუნგბერგის ოფიციალურ საცოლედ შვედი მოდელი ქალბატონი ითვლება, მაგრამ ინგლისელები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ეს მხოლოდ ფარია. რეალურად კი ლიუნგბერგი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა და მისი საყვარელი შვედი მომღერალი მამაკაცია, რომელიც ამჟამად ლონდონში ცხოვრობს.

როგორ ერთობიან ინგლისელები

ინგლისის ნაკრების მცველი გარი ნევილი ცნობილი პოპ-ვარსკვლავის სერ ელტონ ჯონის დიდი თავყვანისმცემელი ყოფილა. მეტიც: ნევილი თურმე მშვენივრად უკრავს გიტარაზე და საღამოობით ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს პატარა კონცერტებს უტარებს. გარი გიტარაზე უკრავს და ელტონ ჯონის შემოქმედებას აცნობს თანაგუნდელებს. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობას ნევილის სიმღერა ძალიან მოსწონს, თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, დევიდ ბექჰემი და რიო ფერდინანდი ამ კონცერტებს თავს არიდებენ. საქმე ისაა, რომ ორივე რეჰისა და რიტმენ ბლივის თავყვანისმცემელია და ელტონ ჯონის მუსიკას დიდად არ აფასებენ, მით უმეტეს, გარი ნევილის შესრულებით. ცოტა უცნაურია, რომ დევიდს ელტონ ჯონი არ მოსწონს - პოპ ვარსკვლავი ხომ მისი ვაჟის ბრუკლინის ნაწლია და მუსიკის მასწავლებელია.

ინძაბი ძირითადში

იტალიური მედიის ინფორმაციით, იტალიის ნაკრების თავკაცი მარჩელო ლიპი სერიოზულად დაფიქრდა გუნდის ძირითადი შემადგენლობის შეცვლაზე. კერძოდ, ცვლილებები თავდასხმის ხაზს შეეხება. მოსალოდნელია, რომ ჩეხებთან შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ლუკა ტონის ნაცვლად პიპო ინძაგი ითამაშებს, რომელმაც თავი გამოიჩინა ბოლო ვარჯიშზე. ორმხრივ შეხვედრაში პიპომ ექვსი გოლი გაიტანა. ჩეხებთან მატჩში კი ინძაგი შეტევაში თავის მიღწეულ თანაგუნდელს ალბერტო ვილარდინოს შეუწყვილდება. მათ უკან ფრანჩესკო ტოტი ითამაშებს.

გამოძიება მთავრდება

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გამოძიებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ფრანჩესკო სავერიო ბორელი ამთავრებს ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას იტალიურ ფეხბურთში მომხდარ სკანდალთან დაკავშირებით. ორმაზათს ბორელი მთელ ინფორმაციას პროკურატურას გადასცემს. შემდეგ დაიწყება სასამართლო პროცესი, რომელიც, სავარაუდოდ, 7-9 ივლისს გამოიტანს ვერდიქტს. აპელაციისთვის მხარეებს 20 ივლისამდე ექნებათ ვადა, შემდეგ კი საქმე დაიხურება. საქმის გამოძიება ასეთ შემჭიდროებულ ვადებში იმისთვის იყო საჭირო, რომ შესაცვლელი არ გახდეს 2006-07 წლების იტალიის ჩემპიონატის კალენდარი. სავარაუდოდ, ყველაზე მკაცრად “იუვენტუსი” დაისჯება. შესაძლოა პრობლემები შეექმნათ “მილანს”, “ფიორენტინას” და “ლაციოს”.

ბაროში დაბრუნდა

ჩეხეთის ნაკრებისთვის ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ყველასთვის კარგადაა ცნობილი ის პრობლემები, რომლებიც ჩეხებს თავდასხმაში აქვთ, თუმცა, ეტყობა, ვითარება ოდნავ გამოსწორდა. ტრავმა მოიშუშა მილან ბაროშმა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ იგი იტალიელთა წინააღმდეგ ითამაშებს.

ქრსტიანი ნაკრებიდან მიდის

სერბეთის ნაკრების მცველი მლადენ ქრსტიანი სანაკრებო კარიერას ასრულებს. გერმანულ გაზეთ “ბილდისთვის” მიცემულ ინტერვიუში ქრსტიანმა განაცხადა, რომ ნაკრებიდან მიდის. “მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ვეგემადიდ, რომ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატამდე დავგრძობდი ნაკრებში. თუმცა, ახლა გადაწყვეტილება შევცვალე და ოთხშაბათს უკანასკნელ მატჩს ვაგმართავ ეროვნული გუნდის შემადგენლობაში. უკვე 32 წლის ვარ და უმჯობესი იქნება, თუ მხოლოდ საკლუბო კარიერაზე გავამახვილებ ყურადღებას”, - აცხადებს “შალკეს” მცველი.

პარაგვაიი კარი გაიჭახუნა



ტრინიდადელებს როკე სანტა კრუზის შერჩერება გაუჭირდათ.

პარაგვაისა და ტრინიდადი და ტობაგოს გუნდმა, შეიძლება ითქვას, საკუთარი თავის წინაშე ვალი მოიხადეს. პარაგვაისთვის, უდავოდ, სირცხვილი იქნებოდა მსოფლიო ჩემპიონატი გატანილი გოლიდან და ქულის გარეშე დაეტოვებინა და ამიტომ პარაგვაელები ბრძოლისთვის განწყვენენ. მათ მიზანს

მაილნიეს - 2:0 დაამარცხეს ტრინიდადისა და ტობაგოს გუნდი და, რომ იტყვიან, კარი გაიჯახუნეს. რაც შეეხება ტრინიდადელებს, მათ თავიანთი მისია მაშინ ამოწერილს, როცა შევდებს მედვრად დაუდგენ და ქულა აართვეს. ამით ტრინიდადელებმა ყველაზე დიდ წარმატებას მაილნიეს თავისი არ-

სებობის ისტორიაში და აღარც არავის ჰქონია იმის ილუზია, რომ ლეო ბენეშაკერის გუნდი რამენარად იბრძოდებდა მერვედფინალის საგზურის მოსაპოვებლად. ტრინიდადი და ტობაგოს გუნდმა, მართალია მსოფლიო ჩემპიონატზე გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ ქულა აიღო. პარაგვაიმ კი თავისთვის დამამცი-

პარაგვაი - ტრინიდადი და ტობაგო 2:0

პარაგვაი: ბობადილია, ნუნეისი, გამარა, კასერესი (მანზური, 77'), პარეტო, სანტა კრუზი, აკუნია, პარედესი, ვალდესი (კუევასი, 66'), დუშ სანტოსი, კანიზა (და სილვა, 89').
მწვრთნელი: ლუის ანიალი
ტრინიდადი და ტობაგო: ჯეკი, ევერი ჯონი (ჯონსი, 31'), სანჩო, ლოურენსი, ბორჩალი, უიტლი (ლატაბი, 67'), ედვარდსი, გლენი (უაზი, 41'), შტერნ ჯონი, თეობალდი, ორკი.
მწვრთნელი: ლეო ბენეშაკერი
გოლები: 1:0 - სანჩო (ავტო-გოლი, 25'), 2:0 - კუევასი (86').
გაფრთხილება: პარედესი, სანჩო, დუშ სანტოსი, უიტლი
მსაჯი: რომბერტო როსეტტი (იტალია).
16 კარში დარტყმა 9
9 კარისკენ დარტყმა 2
18 ჯარიმა 21
7 კუთხური 1
3 თამაშვარგ 3
53 ბურთის ფლობა 47
მატჩის საუკეთესო მოთამაშე: დუშ სანტოსი

რეგულ ბოლო ადგილს დააღწია თავი. ამდენად, ორივე გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი მისია პირნათლად შეასრულა.

პარაგვაი აშკარად უკეთესი გუნდია ტრინიდადთან შედარებით და ეს ამ გუნდების ურთიერთშეხვედრამაც დაადასტურა. სამხრეთ ამერიკელებმა თავიდანვე სერიოზულად მოკიდეს საქმეს ხელი და თამაშის 25-ე წუთზე ტრინიდადელი მცველი სანჩო აიძულეს საკუთარ კარში გადაეგზავნა ბურთი - 1:0. ამის შემდეგ პარაგვაელთა უპირატესობა არ განელებულა და

ნათელი გახდა, რომ ტრინიდადი და ტობაგოს გუნდი მომგები არ იყო. საკმარისია ითქვას, რომ პარაგვაელებმა მეტოქის კარის მიმართულებით 16 დარტყმა შეასრულეს. მეორე ტაიმში ლუის ანიალმა ვალდესი კუევასით შეცვალა და შეცვლაზე შემოსულმა ფორვარდმაც არ უშტყუნა თავის მწვრთნელს. კუევასმა თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე მეორედ აიღო ტრინიდადი და ტობაგოს კარი და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 2:0 პარაგვაის სასარგებლოდ.

ასპროცენტიანი გერმანია



მიროსლავ კლოზეს მეორე გოლი.

გერმანიის ნაკრებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩიც მოიგო და კლინსმანის გუნდს ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს. მიროსლავ კლოზე კი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მოპოვების მთავარ პრეტენდენტად

იქცა. ისევე როგორც ოთხი წლის წინ, კლოზემ ჯგუფური ეტაპი ამჯერადაც შედეგაანად დაიწყო, თუმცა, რა იქნება შემდეგ, ძნელი სათქმელია.

ბუნდესნაკრებს ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად აუცილებლად სჭირდებოდა გამარჯვება. ეკვადორელებმა კი თავისი მაქსიმუმი უკვე გააკეთეს. ლუის სუარესის გუნდმა ვადაზე ადრე მოიპოვა მერვედფინალის საგზური - მეტზე

ეკვადორი - გერმანია 0:3

ეკვადორი: მორა, გუაგუა, დე ლა კრუზი, ამბროზი, ესპინოზა, ვალენსია (ლარა 63), ტენორიო, აიოვი (ურუტია 68), მენდემი, კაიედესი, ბორზა (ბენიტესი 46)
მწვრთნელი: ლუის სუარესი
გერმანია: ლემანი, ფრინიხი, ჰუტი, მერტეზაკერი, ლამი, შნეიდერი (ასამოა 73), ფრინგსი (ბოროსკი 67), ბალაკი, შვაინშტიაციერი, კლოზე (ნოივილი 67), პოდლსკი
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
გოლები: 0:1 კლოზე (4), 0:2 კლოზე (44), 0:3 პოდლსკი (57)
გაფრთხილება: ვალენსია - ბოროსკი
მსაჯი: ვალდტინ ივანოვი (რუსეთი)
2 კარში დარტყმა 9
22 კარისკენ დარტყმა 15
27 ჯარიმა 18
5 კუთხური 2
0 თამაშვარგ 3
57% ბურთის ფლობა 43%
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მიხაელ ბალაკი

ეკვადორელები ვერც იოცნებებდნენ. ასე რომ, მატჩის წინ გერმანიის ნაკრებს გაცილებით დიდი მოტივაცია ჰქონდა. ეს ყოველივე მხედრის მსველეობაზეც აისახა. კლინსმანის გუნდმა თავიდანვე მედვრად შეუტია მეტოქეს და მეოთხე წუთისთვის ცხადი გახდა, რომ ბუნდესნაკრები ამ მატჩს მოიგებდა.

მიროსლავ კლოზემ პირველივე ტაიმში შესრულა დუბლი და განაპირობა კიდევ გერმანელთა გაწვრთვება. იმედგეროდ გერმანიის ნაკრების პოლონური წარმოშობის ფორვარდმა ბომბარდირთა დავაშიც გააუმჯობესა მდგომარეობა.

მოკლედ, გერმანიის ნაკრებმა იოლად გაიმარჯვა. ახლა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები მერვედფინალისთვის ემზადებიან. რაც შეეხება ეკვადორის ნაკრებს, ამ გუნდმა, როგორ უკვე აღვნიშნეთ, მაქსიმუმი გააკეთა - ჯგუფური ეტაპის ბარიერი გადალახა. მთლიანობაში კი მატჩი დიდად საინტერესო არ ყოფილა. ეკვადორელებს აშკარად ეტყობათ, რომ ბრძოლას არ აპირებდნენ, გერმანელებმა კი მომენტები მაქსიმალურად გამოიყენეს, თუმცა, არც მათ მოუკლავთ თავი თამაშით.

აუტსაიდერთა ბრძოლა



პოლონეთი მენდილს ემშვიდობება.

პოლონეთისა და კოსტა რიკის ნაკრები გუნდების მატჩს არანაირი სატურნირო მნიშვნელობა არ ჰქონია. მეორე ტურის შემდეგ ორივე გუნდი დაკარგული ჰქონდა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი და ბოლო ტურის მატჩი მხოლოდ სიმბოლურ

ხასიათს ატარებდა. თუმცა, რატომ? არსებობს კიდევ პრესტიჟი, რომლისთვისაც ორივე გუნდი იბრძოდა. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატის უქულოდ დატოვება არავის სურს. პოლონელებმა სანადელს მიაღ-

ნიეს და გერმანიაში თავიანთი ბოლო მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარეს. ბოსნაჩის ორი გოლის ნყალთან და იანასის გუნდმა შეძლო კოსტა რიკის ნაკრების დამარცხება და სამშობლოში სამი ქულით მაინც ბრუნდებო.

კოსტა რიკა - პოლონეთი 1:2

კოსტა რიკა: პორასი, უმანა, დრუმონდი (უოლასი 70), მარინი, ბადილა, სოლისი, ბოლანოსი (საბორიო 78), გონსალესი, სენტენო, გომეში (ერნანდესი 82), ვანჩოპე
მწვრთნელი: ალესანდრე გიმარაუმი
პოლონეთი: ბორუცი, ბასჩინსკი, ბაკი, ბოსნაჩი, ფეველაკოვი, იელენი, რადომსკი (ლევანდოვსკი 64), შუმკოვიაკი, კუზნიოვეკი, ფურავსკი (ბროჟე-კი 46), სმოლიარეკი (რასიაკი 85)
მწვრთნელი: პაველ იანასი
გოლები: 1:0 გომეში (24), 1:1 ბოსნაჩი (33), 1:2 ბოსნაჩი (66)
გაფრთხილება: უმანა, მარინი, გომეში, ბადილა, გონსალესი - რადომსკი, ბაკი, ფეველაკოვი, ბაჩინსკი, ბორუცი
მსაჯი: მამსუ მაინი (სინგაპური)
5 კარში დარტყმა 7
12 კარისკენ დარტყმა 10
12 ჯარიმა 20
2 კუთხური 8
4 თამაშვარგ 2
49% ბურთის ფლობა 51%
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ბარტომ ბოსნაჩი

მიუხედავად იმისა, რომ მატჩს წინდა სატურნირო მნიშვნელობა არ ჰქონია, ორივე გუნდი ბოლომდე იბრძოდა. ამაზე მშრალი სტატისტიკაც მეტყველებს. მსაჯს ათჯერ დასჭირდა ყვითელი ბარათის ამოღება, რაც შეხვედრის პრინციპულობაზე მეტყველებს. რაც შეეხება კოსტა რიკის ნაკრებს, მან ამჯერადაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა ალესანდრე გიმარაუმის ჰიჭებს აშკარად არ ჰყოფნით სათამაშო კლასი. მარტო პაოლო ვანჩოპე კი ფონსამშობლოში სამი ქულით მაინც ბრუნდებო.

ჯეკვა ამ შეხვედრაში ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, თავად პოლონეთის ნაკრების გაწვლელ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პაველ იანასის გუნდს გერმანიის ნაკრებთან ერთად ჯგუფის უმთავრეს ფავორიტად თვლიდნენ, პოლონელებმა კი იმდენი მოახერხეს, რომ ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრას საერთოდ აღარ ჰქონდა აზრი და საერთოდ ამ ჯგუფმა ორი ტურის შემდეგ სწორედ პოლონელთა სუსტი თამაშის გამო დაკარგა ყოველგვარი ინტრიგა.

გოლი-პოუ

მარი ჯაპახიძე

ზუსტად არაფერი იცის, ვინ და როდის გადაწყვიტა, რომ გოლის გატანით გამოჩენული უსაზღვრო ემოციის გამოსახატავად თავმჯდომარეობა მიიღო და თანაგუნდელებისთვის მეგობრულად ხელის ჩამორთმევა საკმარისი აღარ იყო. სამწუხაროდ, ამის ინიციატორის ვინაობა ფეხბურთის ისტორიაში უკვალოდ გაქრა.

პირველი გოლი-პოუ მეტად მოსაწყენი და უფერული იმასთან შედარებით, რაც დღეს მოედანზე ხდება. გოლი-პოუ-მსახიობების ფანტაზია უკიდურესად აღმოჩნდა - მუცლით ცეკვა, სამბა, ლამბადა, კუთხურის დროშის ხვევნა-კოცნა. აღარაფერი ვამბობთ ისეთ ბანალურ მეთოდებზე, როგორცაა თავზე მისურის წამოცმა და ღმერთისთვის მადლობის შეწირვა.

ფეხბურთის სტაჟინგი გულშემატკივარი იმასაც იფიქრებდა, რომ მოთამაშეებმა მაქსიმალურად ამოიყარეს ფანტაზია. თუმცა, წერას უკაცრავად! მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთად ახალი საგოლე საოცრებები დაგვატყდა თავს. ყოველ შემთხვევაში, მთლად ახალი თუ არა, ზეარტისტული - აი, ისეთი, საგოლე სკარის არსებობის შემთხვევაში სხვადასხვა ნომინაციაში რომ იმსახურებენ პრისს.

პირველი ტურის ოსკარისანთა შორის რამდენიმეს მაინც გამოეყოფო:

განელმა სალი მუნტარიმ ერთდროულად ორ ნომინაციაში გაიმარჯვა: "მოულოდნელობა" და "ერისა და კლუბის მადლიერი". პეტერ ჩეჩის კარში გატანილი გოლის შემდეგ განელმა თავდასხმულმა მოულოდნელად ტრუსიდან გამოაძვინდა და ამაყად ააფრიალა... ისრაელის დროშა. ამჟამად "უდენზეში" მოთამაშე აფრიკელმა ფეხბურთელმა ტელ-ავივის "ჰაპოელში" დაიწყო კარიერა და "სა-



ფეხბურთო სამშობლოს" მიმართ მადლიერება ასე გამოხატა. თუმცა, მუნტარის ამ მოულოდნელი საქციელის-

თვის მეორე დღეს განას ფეხბურთის ფედერაციას საჯაროდ მოუხდა მობოდიმება.

მსოფლიო ჩემპიონატს ფაქტობრივად უკვე დაეშვებოდა ტოგოს ერთ გუნდად შეკრული, მეგობრული

ლუის გარსია: ჯერ ყველაფერი წინ არის!

ესპანეთის ნაკრებმა უკრაინასთან მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ მორიგი სამი ქულა მოიპოვა ტუნისთან შეხვედრაში და მერვედფინალში გასასვლელი ადგილი დაიკავა.

ბერის აზრით, ზემოხსენებულ ორივე მატჩში ესპანელთა ნახევარდაცვის ბურჯი ლუის გარსია ნაკლებად აქტიური იყო. თუმცა, მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თამაზად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფეხბურთელის მისთვის ჩვეული მნიშვნელოვანი და ბრწყინვალე გოლების გასატანად, ალბათ, გარკვეული დრო სჭირდება.

ტუნისის ნაკრებთან არცთუ იოლად მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ლუის გარსიამ გერმანელ ჟურნალისტებთან საუბარი სწორედ აფრიკელებთან მატჩით დაიწყო:

- ტუნისელებთან მატჩი მოსალოდნელზე რთული გამოდგა. საკმაოდ ძლიერი დაცვა ჰყოლიათ. მაგრამ მთავარია, რომ მნიშვნელოვან გამარჯვებას მივაღწიეთ. ტუნისელებთან ჩვენ-

მა ნაკრებმა თავისი მეტროლი სული ბოლომდე წარმოაჩინა და, პირველ ტაიმში მათ მიერ გატანილი გოლის მიუხედავად, მეტოქეს არ დავენებდით.

- ფეხბურთის სპეციალისტთა აზრით, უკრაინასთან სასტარტო მატჩში თითქოს ნერვიულობდით...

- სიმართლე გითხრათ, ცოტას მართლაც ვნერვიულობდი - ეს ხომ ჩემი პირველი მატჩი იყო მსოფლიო ჩემპიონატზე. მაგრამ ჩვენი ნაკრები გამარჯვებაში ღრმად ვიყავი დაინერვივებული. სწრაფმა გოლმა კიდევ უფრო გაამყარა ჩემი რწმენა. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი დებიუტი ასეთი დონის ტურნირზე წარმატებული გამოდგა.

- ფინალური სასტენის შემდეგ, ალბათ, შეგებთ არ ამოი-სუნთქეთ, მით უმეტეს, რომ უკრაინას 4:0 სძლიეთ...

- ყველასთვის ცნობილია, რომ ესპანეთის ნაკრებს, როგორც წესი, ჩემპიონატის გასსნით მატჩებზე არ უმართლებს. აქედან გამომდინარე, პირველი გამარჯვება ჩვენთვის ათმაგად სასიამოვნო იყო. მით უმეტეს, მატჩის წინ გაგვაფრთხილეს, რომ უკრაინ-

ნის ნაკრები ჯგუფში ყველაზე რთული მეტოქე იქნებოდა. ახლა მთავარია, ამ ორ გამარჯვებაზე არ გავჩერდეთ და რაც შეიძლება შორს წავივლით.

